პარასკევი, 1918 წ. თიბათვის 21 № 123

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

პარასკევი, 1919 წ. თიბათვის 21 № 123

# საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთ მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერთ მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—8 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

პირველ გვერდიდან ხელის მოწერა წლიურად ... 18 მ. თვეში (სტრიქონ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: $20 \times 2 = 15$ მანეთი, $30 \times 2 = 20$ მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73.

## ცნობები:

ბ[illegible] დიდუბეში, ოც ივნისს, ღამით, დაიწვა საოლქო საინტენდანტო № 2, გადამწვარია 8 საწყობი შაქრისა, ფქვილისა, აგრეთვე სამხედრო მასალისა. ზარალი რამდენიმე მილიონისაა.—ვლ. ბ. გობეჩია ქრილობისაგან გარდაიცვალა.—სოხუმთან დიდძალი ბოლშევიკობა დათარეშობს, სასტიკი ზომებია მათს წინაამდეგ.—აფხაზეთში ანარქია დაიწყო.—თბილისში 168,000 მან. გაიტაცეს მთავარ საველე ხაზინიდან.—კავკავში წაიღეს სიმინდი და ხორბალი, რაც აქ უნდა გამოეგზავნათ; იმედი აღარ უნდა გვქონდეს იქიდან რამე მივიღოთ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია და პარტიის საოლქო კომიტეტი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობართ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი ამხანაგის

### ვლადიმერ გობეჩიას

დაკარგვას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულდათუთქულნი დედმამა ივანეს ასული, ნინა სარდიონის ასული ციციშვილები, მარიამ სარდიონის ასული და დავით მიხეილის ძე წიკლაურები: ბარბარე სარდიონის ასული, სვიმონ გიორგის ძე კოტეტიშვილები, ელენე, მიშა, ქეთო და სარდიონი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 19 თიბ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეთა ძვირფასი და და ცოლის და ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი დეიდა

### ანნა სარდიონის ასული ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე დილით 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება შაბათს 22, ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ვაძინის ქუჩა, № 3. მთაწმინდა.

ევგენია ნიკოლოზის ასული და გიორგი პეტრეს ძე სარაჯიშვილები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაიცვალა მათი დისწული

### ვერა ასათიანი

პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. სიღნაღში მთავარანგელოზის ეკლესიაში, კვირას ივნისის 24-ს. (1—1669—1)

დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, შვილები: მიხეილი და სოფიო, რძალი ღარიკო და სიძე ილ. დავითაშვილი უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა მათ, ვინც მათი ოჯახის უფროსის

### ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის ხერხეულიძის

გარდაცვალების გამო დეპეშით, წერილით, თუ პირადად თანაგრძნობა გამოუცხადა. 1—1

გულდათუთქული დედა ბარბარე, ძმები იოსები და ივანე გობეჩიები. დები ნინო ჩხეიძისა და მარიამ სალონიკაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ ძვირფას

### ვლადიმერ გობეჩიას

დაკარგვას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—966—1)

## პოლიტიკური შეუგნებლობა

ის, რაც ევროპაში ბუნებრივია, ჩვენში უცნაურად და საკვირველად გეჩვენებათ!

როდესაც რომელსამე პარტიას მთავრობის პოლიტიკა არ მოსწონს, ოპოზიციაშია, კრიტიკას აწარმოებს, ეს აუცილებელია ხალხიანური სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

გაიხსენეთ, როგორი სიჩქარით მიდის წინ პოლიტიკური ევოლუცია ინგლისში ტორისა და ვიგების პოლიტიკური ცილობის გამო.

გვეუბნებიან: სამხედრო მდგომარეობის დროს, როდესაც სამშობლოს დამოუკიდებლობა განსაცდელშია, ყველა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს გაბატონებულ პარტიას.

და ყველა სოციალისტურ პარტიას ეროვნ.-დემოკრატებზე წოდვენ იერიში.

16 ივნისის ისტორიულ სხდომაზე ნოე ჟორდანიამ ცილი დასწამა და ეს ცილი მის პოლიტიკურ სინდისს არაოდეს არ ჩამოერეცხება!

არც ფერს ვიტყვი უმრო ორატორობის—სოსიკო იდენის, აკაკი პაპავასი, სამსონ დადიანისა და სხ. უმინაარსო სიტყვების შესახებ, რომელნიც ვითომ ჩვენს ანტიდეკლარაციას აკრიტიკებდნენ. მე რომ „სახალხო საქმის“ რედაქტორი ვყოფილიყავი, მათ სიტყვებს გაზეთში არ გამოვფენდი. უბედურია, ხაზგასმულმა ორატორებმა თავისი პარტია არ ასახელეს!

მაგრამ ნამდვილი ვილოდე, ეს „ქ. აბაშიძე“ ვინ-დაა (იხ. 20 ივნისის „სახალხო საქმე“), ეროვნულ დემოკრატიას რომ ჰკრას ასწავლის!

რასაკვირველია, არც ერთს ჩვენს მოპირდაპირე ორატორს ან ჟურნალისტს ხმა არ გაუცემიათ, რომ მითქმა მოთქმა და განგაში ჩვენი ოპოზიციის შესახებ ფართო მასაში არ გაეტანათ.

მაშ რას მოითხოვენ ჩვენგან?—მთავრობას ნდობა გამოუცხადეთ, მხარი დაუჭირეთო, მაგრამ, თუ კი მთავრობის პოლიტიკა ქვეყნის დამღუპველად მიგვაჩნია, მაშინაც დავუჭიროთ მხარი—თქვა? ვეკითხებით. მაშინაცო—გვეუბნებიან, ეროვნული ფრონტი არ უნდა დაირღვეს, ყველა პარტია უნდა შეერთდეს, ერთად უნდა იყოს, ვინაიდან რესპუბლიკას სუვერენობა განსაცდელშიაო.

სოციალისტ-ფედერალისტები ფეხის ხმას აყოლიან და მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ ბრალდებას იმეორებენ. მაშ კეთილ ინებონ სოციალ-დემოკრატებმა და მოგვიგონ ამ კითხვაზე:

კარგათ იციან, ბოლშევიკებმა რომ რუსეთის სუვერენობა განსაცდელში ჩააგდეს, მარტო ის რად ღირს, უცხო სახელმწიფოებს რომ ვალის გადახდაზე უარი უთხრეს!

მაშ რატომ მხარი არ დაუჭირეს? რატომ გამოექცნენ ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე, რომელთაც რუსეთი საქართველოზე ნაკლებ არ უყვართ?!

აქედან კი რა დასკვნა გამომდინარეობს, როდესაც ხედავ, რომ გაბატონებული პარტია სამშობლოს ეფექტურებისაკენ მიაქანებს, შეუძლებელია მხარი დაუჭირო.

სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში ვართ ჩვენც, ჩვენ ვხედავთ, რომ რაც ბოლშევიკები არიან რუსეთში, თითქმის იგივე არიან მენშევიკ-სოციალდემოკრატები ჩვენში.

მათ არ შეუძლიათ მოსპონ ანარქია, ვინაიდან ადმინისტრაციულ გამგებლობაში ერთგვარი წესი ვერ დაამყარეს, არ შეუძლიათ შექმნან ფინანსები, ვინაიდან არავითარი ფინანსიური სისტემა არ გააჩნიათ.

არ შეუძლიათ აამაღლონ სამეურნეო კულტურა, რომელსაც წინ ეღობება მათ მიერ გამოცემული სოციალისტური მიწის დეკრეტი.

არ შეუძლიათ შექმნან მრეწველობა, ვინაიდან მწარმოებლის კერძო ინიციატივა შებორკილია.

არ შეუძლიათ მაშასადამე შექმნან ძლიერი ჯარი და რესპუბლიკის დაცვა ძალაუნებურად უცხო ძალას უნდა ჩააბარონ.

მაშ, უეჭველია, მათი პოლიტიკა ნორჩი რესპუბლიკის სუვერენობისთვის—საშიშარია.

მეორე მხრივ, ნაადრევია ჩვენი პოლიტიკური მტრების სიხარული და ყიჟინი ჩვენი განწმენდებული გამოსვლისათვის და ფუჭად დამშვიდდნენ: ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ, როსაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება ან, სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით.

როდის იყო, რომ სამშობლოს დაცვის საქმეში ვისმე ჩამოვრჩით?! განა შვილები ბრძოლის ველზე გმირულად არ იბრძვიან?!

და, საზოგადოდ, საერთოდ, ეროვნულ დემოკრატიას ცოტა ღვაწლი მიუძღვის?! ან თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ოდესმე გაექცევია ან გაექცევა?!

დიახ! ჩვენ იქა ვართ, სადაც განსაცდელია, და იქვე ვიქნებით! და რესპუბლიკის სუვერენობის დაცვის საქმეში არავის ჩამოვრჩებით!

მაგრამ ოპოზიციაში მიტომ ვართ, რომ მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა გამოვამჟღავნოთ და მაშასადამე მთავრობის მიერ ჩადენილი შეცდომები მისი ხელითვე გავასწორებინოთ.

და, ამისთვის თუ მთავრობამ და სოციალისტურმა პარტიებმა არა თუ მადლობა არ გვითხრეს, არამედ ღალატი დაგვაბრალეს, ეს—მხოლოდ მათს პოლიტიკურ შეუგნებლობას მოასწავებს.

## პეტიციის გარშემო

ამ სათაურით „ერთობა“ ისევ განაგრძობს ლაპარაკს იმ უბადრუკი პროვოკაციისას, რომელიც მისმა პარტიამ შექმნა, მაგრამ ახლა ზედ ურთავს მეტად დამახასიათებელ „აზრებს“: „ბრალდება ერის ღალატში მეტად მძიმე ბრალდებაა, მარტო ისიც კი ასეთ ბრალდებაში საკმარისია, რომ გავარვარებულ ატმოსფეროში, რომელსაც დღეს წარმოადგენს საქართველო, მეტად სამწუხარო შედეგები გამოიწვიოს“—ეს სიმართლეა, მაგრამ თუ ესეც იცით, თქვენ დალოცვილებო, რაზედ სთხზავთ და აგროვებთ ასეთ საზიზღარ ცილისწამებას, თუკი გაქვთ წარმოდგენა გავარვარებულ ატმოსფეროზედ? ან არ გახსოვთ ის ახლო მოვლენა, როცა ასეთი ბრალს ჰქონდა ადამიანთ თქვენ გადუხდიდნენ და თქვენ საპირიდაც არა სთვლიდით მის გაქარწყლებას? მაგრამ „ერთობა“-მ ბოლოს გამოამჟღავნა, თუ რისთვისაც აგროვებს ასეთს სისაძაგლეს: ის ურჩევს თავად-აზნაურობას, კოლექტიურად უარყონ ასეთი ბრალდება და „თავი იმართლონ ერის წინაშე... ჩვენ ვგლით ასეთ ნაბიჯს ყოფილი მემამულეებისაგან“. აქ მეტად აშკარად დაუწყია „ერთობა“-ს ასეთი გულწრფელობა—ახლა მას უკვე სურს, როგორც ნამდვილ ბატონს, რომ „ყოფილი ბატონები“ ძაწოდნენ მის წინაშე და უკავდნენ მის, ხოცია-დემოკრატიას, უმგვან ქორწილ ბოდიშით მოუხდეს თავად-აზნაურობა: არა, ჩვენ აქლემები ვართ და ნუ დაგვეცდებით. ბევრი დრო არ გაივლის ეს თავაშვებული „დემოკრატია“ (ან უკეთ ოხლოკრატია) მიაითხოვს, როგორც ძველი სატრაპი, რომ ყოველ მის წარბის მოძრაობას ხალხი შეხვდეს მუხლის ჩოქით და ყოველი მისი გაფურთხებული აღლოკოს. ამის ნიმუშები მეტად მალე გამოჩნდა და ამისათვის უკვე არის აგრარული დეკრეტი, რომლის საშუალებით თავად-აზნაურობა მათი მორჩილი იქნება როგორც გაძარცული ყმადის წინაშე და გლეხობა კიდევ მათი კომიტეტების ფეხქვეშ შებოჭილი. აბა გაბედოს ახლა გლეხობამ და ქედს ნუ მოიხრის სოციალდემოკრატიის წინაშე: კონდახი და ტყვია მზად არის; მიწის იჯარა-გადასახადი და სრულიადაც უმიწობა—ესე ყველაფერი მათ ხელშია და ამის გარდა ძლიერი ენაც: „ერთობის“ ფურცლები, სადაც ყოველს გამოსვლას მათ წინააღმდეგ და მათი უაზრო აზრების წინააღმდეგ—მონათლავენ, როგორც „სამშობლოს ღალატს“ (დიდი ხანი კი არის, რაც ისწავლეს ეს სიტყვა?) და დააჩოქებენ, „ქედს მოახრევინებენ“ „რეაქციონურ“ გლეხკაცობას. საფრთხე აქ არის და ჯერ კიდევ ბევრ მალაყებს მოვესწრობით ძალაუფლების შემატკბობელ „დემოკრატიისაგან“. „რევოლუციის მონაპოვარი“ სასახლე, კარგი დგამი, რბილი ავტომობილები და კეთილი ცხოვრება მაშ როგორ გინდათ დაიცვას „დემოკრატიამ“ თუ არა ყველა იმ ძველებური ხერხებით, რომელიც შეითვისეს ძველი რეჟიმისაგან. წარმოიდგინეთ, იმასაც კი ამბობენ შიგა და შიგ, რომ „სოციალდემოკრატიას“ განზრახული აქვს მოიწვიოს გერმანელი პრინცი საქართველოში, რომ მოპოვებული ბატონობა არ დაეკარგოს და ამაზედ ამ პარტიის ზოგიერთი წევრი ახლილადაც ლაპარაკობს. საინტერესოა, გაბედავს სოციალდემოკრატია პარტიულ ყრილობას და „კოლექტიურად თავს იმართლებს“ ერის წინაშე, რომ მათ წრეში ასეთი აზრები არ დაბადებულა, თუ არა, ყოველს შემთხვევაში თუ თავად-აზნაურობას მოუთხოვენ „კოლექტიურად“ მათ მიერ შეთხზულ ჭორის უარყოფას, მეტის უფლებით მოვთხოვებ მათვე ასეთი კოლექტიური თავის მართლება, მაგრამ რანაირი აზრები არ უნდა ჰქონდეთ მათ, თუ მისი განხორციელება მოინდომეს, რევოლუციის სახელით გაასაღებენ და ვინც არ დაუჯერებს—დააჩოქებენ: თქვენ კონტრ-რევოლუციონერები ხართ და სამშობლოს ღალატობთო.

თუ რამდენად მართალია ეს ამბავი, სჩანს თუნდაც „ბორბას“ წერილიდან (იხ. № 96), სადაც იგი ერთის მხრით

ლანძღავს ეროვნულ-დემოკრატიას გერმანიაზე დაყრდნობის ვითომ სურვილისათვის და ამავე დროს მოიხმობს საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას—დაეყრდნოს იმპერიალისტურ გერმანიას და იწვევს გერმანიას დაეყრდნოს „ზომიერ სოციალისტების" მთავრობასაო.

ასეთი ახდილი მოწოდება უცხოელებისა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისათვის მარტო იმით აიხსნება, რომ მას სჩადიან მეორე უცხოელები,—„ბორბას" რუსები და ჩვენ გვიკვირს სად არის მთავრობა, რომელიც არ ალაგმავს ასეთს პროვოკაციას.

რომ ეს აზრი დაასაბუთოს, „ბორბას" მოჰყავს მაგალითები, თუ გერმანია როგორ ეყრდნობოდა უკიდურეს სოციალისტებსაც და უკიდურეს მემარჯვენეებსაც, ოღონდ თავიანთ მიზნისთვის გამოიყენონ და ურჩევს საქართველოს მთავრობას შეეგუოს ამ მიზნებს. სხვა საბუთებთან, ხაზგასმით აცხადებს იმასაც, რომ „როგორც ეტყობა საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა გერმანელ დიპლომატიას მიაჩნია საზოგადოთ და ერთად—მასა (ე. ი. გერმანელების) ინტერესებისათვის გამოსადეგად".

აი თურმე რა ყოფილა რუსი სოციალდემოკრატების ნამდვილი აზრი, რომ საქართველოს სოციალდემოკრატია ხელს უწყობს გერმანიის ინტერესებს—და ნუთუ ესკი ლალატი არ არის, ნუთუ ამას არ გააქარწყლებს ჩვენი მთავრობა, არ ალაგმავს ამ არამკითხე მრჩეველებს მარტო იმიტომ, რომ დღეს ისინი ნაციონალდემოკრატებსაც ლანძღავენ. დღეს თუ ასე ნართაულად გვიმასპინძლდებიან, ხვალ რუსეთში გადავლენ და თავისივე ნაბადს გაასაღებენ, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ აზრს და ცილს დაგვწამებენ. იმპერიალიზმი, თუ ეს ცილი იმ დროისათვის სინამდვილედ არ გადაიქცა, რადგან ნიშნები სჩანს, რომ სოციალ-დემოკრატია შეურიგდება ეშმაკსაც, ოღონდ ხელიდან არ გაუშვას „რევოლიუციის მონაპოვარი" ბატონობა და ქვეყნის ცხოვრება. მაგრამ მოპოვებული არა ხალხისათვის, არამედ იმ მთავრობისათვის, რომელთაც იგემეს ძალაუფლების სიტკბო და კიდეც იყენებენ თავისათვის.

რაჟ.

# ომი

## დასავლეთის ფრონტზე.

**გერმანიის ცნობა**

ბერლინი. ივნისის 19. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. მზვერავ რაზმთა თარეშია. მტრის იერიშები ნიეპის ტყეში და ბეთუნეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგერიებულ იქმნა. საარტილერიო ცეცხლი მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში იღებდა მკვირცხლ ხასიათს.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ფრანგების მიერ მიტანილი იერიშები დამიერის სამხრეთ-დასავლეთით, ვილერ-კოტრეს ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგერიებულ იქმნა მათთვის დიდის ზარალით. შანტ-ჰებენტის აღმოსავლეთით პოზიციებზე მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიშები. ჩვენ ზოგიერთ ადგილას გადავინაცვლეთ პოზიციები ტყის შუაგულში. კვინიონის სექტორში, შატოტიერის ჩრდილო-დასავლეთით, რამდენიმე როტა წამოვიდა იერიშით, მაგრამ გაფანტულ იქმნენ ჩვენი მოთვალთვალე რაზმების მიერ. ჩვენმა არტილერიამ და ნაღმსატყორცნელებმა მარჯვედ დაუშინეს რეიმსის პოზიციებს. ქვეითა რაზმებმა 50 კაცი დაატყვევა. გუშინდელ დღეს მტრის 23 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ და 3 დაბმული ჰაეროსტატი. კაპიტანმა ბერტჰოლდმა მე-35 ჯერ გაიმარჯვა ჰაერის ბრძოლაში.

## იტალიის ფრონტი.

ვენა. 19 ივნისი. ოფიციალი. ფელდმარშალი ბოროევიჩის სამხრით ფრთა განაგრძობს წინსვლას. ფორზეტცის არხი რამდენიმე ადგილას გადავლახეთ. ერცჰერცოგ იოსების ლაშქარმა კვლავ მტრის პოზიციების მთელი რიგი გადაიარა. ტყვეების რიცხვი იზრდება. პიავისა და ბრენტის შუა სასტიკი ომებია. მტერს სასოწარკვეთილებით მოაქვს იერიშები, მაგრამ ამაოდ.

**საფრანგეთის ცნობა**

პარიზი. 19 ივნისი. ოფიციალი. მთელი დღე-ღამის განმავლობაში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

# მთავრობის წრეებში

მთავრობის სხდომაზე 19 ივნისს მთავრობის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრის გ. პ. გობეჩიას ტრაგიკულ სიკვდილის შესახებ. მიცვალებულის ხსოვნას მთავრობამ ფეხზე ადგომით სცა პატივი. მთავრობამ დაადგინა გარდაცვალებულის კუბოსთან საპატიო ყარაული დააყენოს.

—

მთავრობამ მსჯელობა იქონია ბოლო დროს გახშირებულ მკვლელობათა და სხვა ბოროტმოქმედებათა გახშირების შესახებ; მსჯელობაში მიიღო ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრის გ. პ. გობეჩიას მოკვლა, ხაზინის გაცარცვა, მღვდელ პოპოვის მოკვლა და დაადგინა ამგვარი საქმეები, საალყო წესების გამოცხადების შემდეგ მომხდარი, სამხედრო სარევოლუციო ტრიბუნალს გადაეცეს გასარჩევად, რათა მან საალყო წესების კანონებით იხელმძღვანელოს მათი გარჩევის დროს.

—

საგანგებო გამომძიებელი კომისია ტერიტორიის შემცირების და მდგომარეობის შეცვლის გამო გაუქმდა. ეს დადგენილება თვითონ კომისიამ გამოიტანა და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა, ხოლო წინადადება მისცა კომისიას მოკლე ხანში შეადგინოს მცირე საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

—

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ კავკავიდან მთავრობის რწმუნებულის წერეთლისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკავისაკენ არავის უშვებენ. 6,000 ფუთი სიმინდის ფქვილი ფურგონებზე დალაგებული მოლოკანებმა არ გაატარეს. იძულებული გახდნენ გადმოეტვირთნათ, ნაწილი დაიკარგა, ნაწილი იაფად გაეყიდა და ფურგონის პატრონებს ქირა მივეცით რამდენიმე ათასი მანეთი. ჩვენი ორგანიზაციის მიერ დამზადებული სიმინდი სხვა ორგანიზაციებს მიაქვთ, რის გამოც ჩვენ რამდენიმე ასი-ათას მანეთს ვკარგავთ. ჩვენი რკინის გზის მოსამსახურეებმა ყუბანის ოლქიდან ჩამოიტანეს, ხორბალი მაგრამ ისიც წაგვართვეს. ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა ადგილობრივ მთავრობას, მაგრამ ამაოდ, ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს საგანგებო კომისარი ორჯონიკიძე. უეჭველად გამოგზავნეთ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევად. მიიღეთ ზომები მანდვე შეისყიდოთ პური. ჩვენი ორგანიზაციის იმედს ნუ იქონიებთ. კავკავში ჩვენ არაფერი გვაქვს, გზაში კი გვართმევენ.

—

ჰაჯარბეგ აბაშიძის მოხსენების გამო აჭარლების მდგომარეობის შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს დაევალა მიიღოს საჭირო დიპლომატიური ზომები.

—

მოწონებულ იქნა მიწათმოქმედების მოხსენება მინერალურ წყლების სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

—

მიწათმოქმედების მინისტრს დაევალა მოხსენება წარმოადგინოს აგრარულ რეფორმის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

—

აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ კორპუსის ქონებათა საწყობები და მაჰმადიანთა შტაბის სხვა ნაწილები განჯაში გადადის.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ჟურულის გასვლა პარტიიდან.** ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა ბ. ნოე რამიშვილის კაბინეტს. ამას უნდა მოჰყოლოდა ბ. გ. ჟურულის გადადგომა სამინისტროდან. მოლაპარაკების წინადმდეგ ფინანსთა მინისტრმა პარტიიდან გამოსვლა და მთავრობაში დარჩენა არჩია. ამგვარად ეროვნულ დემოკრატიას თავისი წარმომადგენელი აღარ ჰყავს მთავრობაში.

◆ **დღეს,** შუადღის 12 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) პლენარულ სხდომის დღეების განწილება, 2) კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნის შესახებ, 3) კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიის შექმნის შესახებ და 4) ეროვნულ საბჭოს წევრთათვის ჯილდოს დანიშვნის შესახებ.

◆ **სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** ვეჰიბ-ფაშას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს ოსმალეთის მთავრობას დაჩქარებულ იქნას ახალქალაქის ლტოლვილთა უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა.

◆ **დამცველმა შტაბმა დააპატიმრა** „ბოჟე ცარია ხრანის" შესრულებისთვის მე-2 თურქესტანელთა ბატალიონის ოფიცერი ბორის იაკუბოვსკი, ქ. მეხოვი, შტაბს-კაპ. დიმ. კურკინ, პორუჩ. კამელია, პოდპორუჩიკები: ივ. შევჩენკო და ნიკ. შიროკშინი და პრაპ. თ. დუბროვინი; ქართულ მხედართა კავშირის წევრი ფირან წამალიშვილი პოლკის ხაზინადრის გაცარცვისათვის.

◆ **რუსთა ეროვნულ საბჭოს შეკითხვაზე** მთავრობამ მას შეატყობინა, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლის მოსაწესრიგებლად მთავრობამ მიიღო ყველა შესაძლებელი კანონიერი ზომები.

◆ **ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ** მთავრობას სთხოვა 50,000 მან. გადასცეს ქალაქისათვის უპროცენტო სესხის სახით, ხოლო 20,000 მან. სამუდამოდ.

◆ **გერმანიის სამხედრო სადგურის უფროსმა** მთავრობას სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ სადგურიდან აღდგენილ იქნეს სადგურების მოწყობილებანი, რკინის გზის ინვენტარი, მავთულები, სიგნალიზაცია და სხვა, რადგანაც გერმანიის ჯარის ზურგით სიწყნარე და წესრიგი უზრუნველყოფილია. ამას გარდა სადგურის უფროსი სთხოვს მთავრობას აღდგენილ იქნას 2 ხიდი, რომელიც საგ. შაგალისთან ოსმალებმა დაანგრიეს.

◆ **19 ივნისს სტამბოლში** გაემგზავრა მთიელთა დელეგაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ბამბატოვი, წევრებად: კანტემიროვი და ვგენ. ხალილოვი. ერთი დღით წინ გამგზავრებულ მაჰმადიანთა დელეგაციაში შედიან: რასულ-ზადე, ხასმამედოვი და სადვიკოვსკი.

◆ **ინგუშთა სახალხო საბჭომ** საქართ. მთავრობას თხოვნით მიმართა გადაუხადოს 12,434 მან., რომელიც მან ქართველ მწყემსთა ჯოგების დამცველ რაზმის შესადგენად დახარჯა.

◆ **ფინანსთა სამინისტრომ** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 1918 წ. განაგრძოს ზოგიერთ პირდაპირ გადასახადების და ბეგარის აღება გადიდებულ ტარიფით.

# სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და ეროვნულ-დემოკრატები

ეროვნულმა საბჭომ სამი სხდომა მოანდომა მთავრობის დეკლარაციის განხილვას და ბოლოს მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სრულს ნდობას აღუთქვამს საქართველოს სახელმწიფოს პირველს მთავრობას. ამ რეზოლუციის მოწინააღმდეგე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია უარისყოფით მოეპყრო უმთავრესად დეკლარაციის საგარეო დებულებას და მოითხოვა სამინისტროს შედგენა სოციალისტებისა და არა სოციალისტების პარიტეტით (თანასწორი რიცხვით).

მთავრობის დეკლარაციის მუხლობრივი გარჩევა არ შეადგენს დღევანდელ წერილის საგანს. ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას დეკლარაციის ზოგიერთ მხარეს, რომელმაც შეურიგებლობა დაჰბადა საბჭოს დიდი უმრავლესობის და მემარჯვენე პატარა სექტორის შორის და რომლის გამო ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის კრიტიკამ საბჭოს წევრთა შემანებულ ფანტაზიას შავი აჩრდილის საშინელება წარმოუდგინა. მოვალეთა ვსთვლი თავს ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ სოციალდემოკრატიული ფრაქციის გამოსვლაც, რამდენადაც ეს შეეხება დეკლარაციას და აგრეთვე გამომდინარეობს მისი მთავრობისადმი უახლოეს ნათესაური კავშირისაგან.

რამ გამოიწვია ეროვნულ საბჭოს სოციალისტ წევრთა ერთსულოვანი აჯანყება? რა ჩაიდინეს ისეთი ეროვნულ-დემოკრატებმა, რომ უკიდურესად განრისხებულ სოციალისტურმა ბლოკმა მათ მოღალატეობა და „პომეშჩიკების" იდეოლოგობა დასწამა?

ერთად-ერთი „შეცოდება" ჩვენი ფრაქციისა იმაშია, რომ მან ისარგებლა პარლამენტის ტრიბუნით და გამოაქვეყნა საპასუხო დეკლარაცია, რომელთაც მთავრობის დეკლარაციის ზოგიერთი პუნქტი უკუაგდებულია, როგორც საზიანო და დამრღვევი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ წეს-წყობილებისა. ევროპის პარლამენტებს ახსოვთ მრავალი სასტიკი და დაუნდობელი კრიტიკა მთავრობის პროგრამისა და მოქმედებისა, მაგრამ იმავე პარლამენტებმა არ უწყიან ისეთი გულისწყრომა და აღშფოთება მოწინააღმდეგებისადმი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში! სიმართლე უთქვამთ რომაელებს: იუპიტერო, შენ სჯავრობ,—სჩანს მართალი არა ყოფილხარ!

მაგრამ, გადავიდეთ საგანზე: მთავრობა დიდის რიხით აცხადებს, რომ მას უდავო ღვაწლი მიუძღვის საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებაში და კერძოდ გერმანიასთან კეთილგანწყობილების დამყარებაში. ვინც ამიერკავკასიის და შემდეგომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიას თვალყურს ადევნებდა, იმისთვის მართლაც ცხადია და საბოლოოდ გამორკვეული დღევანდელი ჩვენი საქვეყნომპყრობელების და მათი უნიჭო ფეხქვეშების მონაწილეობა ამ აქტების დაჩქარებისათვის. ყველასათვის აშკარაა, რომ სოციალდემოკრატებმა ნებსით თუ უნებლიედ ბევრჯელ ისეთი პოლიტიკური შეცდომები დაუშვეს, რომელთაც დაღუპვა განუმზადეს საქართველოს და მხოლოდ საერთაშორისო კომბინაციათა საბედნიერო მოწყობით ჩვენი სამშობლო შედარებით უპირველად განთავისუფლდა საფრთხისაგან. და პირველი მიუტევებელი დანაშაულობა ქართველი სოციალდემოკრატებისა ისაა, რომ მათ უარჰყვეს ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება. მართალია, ირაკლი წერეთელმა ამის შესახებ მცირეოდენი სენტენცია უძღვნა ეროვნულ-დემოკრატებს კეთილშობილების შესახებ და ნოე ჟორდანიამაც რაღაცა წაილაპარაკა ეშელონებზე, მაგრამ ამ „არგუმენტებმა" მხოლოდ წინადმდეგში დაარწმუნეს პირუთვნელი მსმენელი.

ყველას ახსოვს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა და ამ ჟამადაც აქვს სოციალისტურ რუსეთს განთავისუფლებულ საქართველოსთან. დაპყრობითი განზრახვები რუსეთის ბოლშევიკებისა დაუფარავი და ნათელია ყველასათვის, გარდა ქართველი სოციალისტებისა, რომელნიც სულ ახლო წარსულში ამ სუბიექტებს საქართველოს დაცვისათვის მოიხმობდნენ. არა გვგონია ამ მოვლენას ოდნავაც განემტკიცებინოს საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო სფეროში და უზრუნველეყოს მისი მთლიანობა!

მთავრობის დეკლარაციის ანალიზი შეუძლებელია, თუ ამავე დროს არ შევეხებით ქართველი სოციალ-დემოკრატების საერთო პოლიტიკას, ვინაიდან პარტია და აწინდელი მთავრობა სინონიმებია დაახლოვებით. ვერც იმ მოსაზრებაზე დავეყრდნობით, რომ საქართველოს სახელმწიფოს მმართველობა პასუხისმგებელია განსაკუთრებით იმ პოლიტიკისა, რომელიც სწარმოებს 26 მაისიდან, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა. საკითხის გამორკვევა საჭიროა არა ფორმალურად და იურიდიულად, არამედ არსებითადაც, ამიტომ ჩვენ ვერ შემოვიფარგლებით განსაზღვრული რიცხვით, ან დროით,—ჩვენ გვაინტერესებს ფაქტების ქრონოლოგიური წყება, მათი განვითარება ღრმათ ბრუნვაში საზოგადოთ...

მოვლენათა განხილვა კი გვიჩვენებს, რომ ჩვენი მმართველი წრეების პოლიტიკა ისეთივე უმწეო და საზარალო იყო საგარეო საქმეებში, როგორც შინაით, საქართველოს საზღვრებში. აღსანიშნავია, რომ ის გაბედული კილო და რიხი, რომლითაც მთავრობა მეტყველებს დეკლარაციის საგარეო ნაწილში, ისპობა იმ ადგილიდან, სადაც მთავრობა ეხება საშინაო პოლიტიკას. მთავრობა აღსარებით იწყებს, რომ არევ-დარევა და უწესოება არ მოსპობილა ქვეყნად, რომ ანარქია სწარმოებს „ჩვენი სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეებში" (ხაზი ჩვენია)... გასაოცარი წესწყობილებაა: აქა-იქ მყუდროება, ნამდვილი ნირვანას სუფევს, ხოლო ალაგ-ალაგ კი ანარქიაა მოდებული... როგორ შეიძლება ანარქია იყოს გაჩაღებული „სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეებში", უკეთუ ცენტრში მშვიდობიანობაა?! შესაძლებელია გახმეს ხეხილი, თუ მისი ფესვები ჯანსაღია?! სახელმწიფოში უწესოების ჩასაქრობად მთავრობა მიჰმართავს სხვა და სხვა საშუალებას და, სხვათა შორის, გერმანიის ჯარს, როგორც ეს სჩანს მთავრობის ოფიციალ განცხადებიდან და გერმანეთის საელჩოს რეკლამაციებიდან. უკანასკნელი ღონისძიება თავის-თავად დასაძრახისი არ არის, რადგანაც რიგიანი წყობილებისა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის შესაქმნელად თავდაპირველად აუცილებელია მტკიცე და ავტორიტეტული მთავრობა, ძალდატანებითი ფუნქციებით აღჭურვილი, მბრძანებელი და მართლმსაჯული. მაგრამ ეროვნულ საბჭოს სოციალისტური უმრავლესობა მთელი ორი დღის განმავლობაში სულ იმის მტკიცებაში იყო, რომ ნაციონალ-დემოკრატებს ვითომც აზრად აქვთ თბილისში დაბინავებული გერმანეთის ჯარი ჩარიონ საქართველოს შინაურ საქმეებში, და საჯაროდ მოღალატეებათ გამოაცხადეს. წინააღმდეგის მტკიცება ძნელია იმ ადამიანებისათვის, რომელნიც სწორედ რომ „დევნის მანიით" არიან შეპყრობილნი; მაგრამ, რა ღონისძიებისა უნდა იყოს თავისთავად პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა იმათი, ვინც სახელმწიფოს საზღვრებში იწვევს იმგვარ ძალას, რომელიც, შესაძლებელია, გამოიყენოს მოწინააღმდეგემ მათსავე დასამხობად?

მტკიცე და ერთი, მთლიანი მთავრობა ჩვენ დიდი ხანია აუცილებელ საშუალებათ მიგვაჩნია საქართველოში ნორმალი სახელმწიფოებრივ აპარატის შესაქმნელად და რიგიანი წესწყობილების დასამკვიდრებლად. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოში აცხადებდა, რომ ერთ, ძლიერ მთავრობის მოწყობას ხელს უშლის ნაციონალ-დემოკრატების პოლიტიკა; ჩვენ კი გვგონია, რომ ძლიერი და მთლიანი მთავრობის მოწინააღმდეგენი უნდა ვეძიოთ იმ პარტიაში, სადაც საქართველოს მართველობას სხვა და სხვა ინტერნაციონალურ ცენტრებში დაცინვით იხსენიებენ და ეროვნულ საბჭოს სახელს უწოდებენ „ევროპულ წოდებულ პარლამენტად".

ძლიერი სახელმწიფოსათვის და მტკიცე მთავრობისათვის დეკლარაცია მოითხოვს „ევროპიულ წესით გაწვრთნილ ჯარის შედგენას", რომელსაც, დეკლარაციის სიტყვით, დაევალება „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცება". ყოველივე დანარჩენი სუსტი მხარე დეკლარაციისა უნდა გვეპატიებინა მთავრობისთვის ამ ჭეშმარიტების აღიარების გამო, მაგრამ „უმადური" ეროვნულ-დემოკრატები აქაც—ერთი ს.-ფედერალისტი ორატორის სიტყვა რომ ვიხმაროთ—„ჰგლეჯდნენ" უდანაშაულო მთავრობას...

რაშია საქმე? მართალია, მთავრობის დეკლარაცია გვპირდება მხოლოდ რეგულიარი „ევროპიული წესით გაწვრთნილ ჯარის" მოწყობას, მაგრამ ამავე დროს სოციალ-დემოკრატებისაგან გადაწყვეტილია „სახალხო გვარდიის" (იგივე წითელი გვარდია) შედგენა. სოციალ დემოკრატიულ ფრაქციამ (უეჭველად მთავრობის ლოცვა-კურთხევით) განიზრახა ეროვნულ საბჭოში კანონ-პროექტი გაატაროს (ვის დაუშლის?) „სახალხო გვარდიის" ორგანიზაციის შესახებ. ამ პროექტის პირველი მუხლი ამბობს: „სახალხო გვარ-

# გობეჩიას მოკვლა

ნამდვილი ცნობა.

სეიმის წევრმა ექ. აბაკელიამ ვ. პ. გობეჩიას მოკვლის შესახებ შემდეგი გადმოგვცა: ის იოსებ გობეჩიასთან (ვლად. გობეჩიას ძმა) ერთად ლორის-მელიქოვის ქუჩაზე მოდიოდა, როცა შენიშნა, რომ მირიმანოვის სახლიდან ავეჯეულობა გამოჰქონდათ. შეკითხვის შემდეგ მათ გაიგეს, რომ ბინას სცლიდნენ. აბაკელიამ და იოს. გობეჩიამ ბინის დაქირავება მოისურვეს; შევიდნენ შიგნით და გაიგეს, რომ 3 ოთახს 300 მანეთად აქირავებენ, თუმცა თვითონ ბინის პატრონს, წულუკიძეს 4 ოთახი 47 მანეთად ჰქონდა ნაქირავები. მაშინ აბაკელია და იოსებ გობეჩია საბინაო კომიტეტში წავიდნენ, რომლიდანაც მათ მოწმობა მიიღეს, რომ წულუკიძის ბინაზე 3 ოთახი მათ განკარგულებაში უნდა გადასულიყო, უკან დაბრუნებისას სახლში მათ ქ-ნი წულუკიძე დახვდათ, რომელსაც გაურიგდნენ 200 მანეთად დაეთმო მათთვის 3 ოთახი. მალე აბაკელიამ შეიტყო, რომ წულუკიძე ჩამოვიდა და ემუქრება მათ. რადგანაც მან იცოდა წულუკიძის წარსული (წულუკიძე კაცის მკვლელობისათვის კატორღაში იყო გაგზავნილი) დაიწყო ახალი ბინის ძებნა.

მკვლელობის დღეს ვლად. და იოს. გობეჩიები წმ. გიორგის ქუჩით ქვაშვეთის წინ ქვემოდ ჩამოდიოდნენ, რომ ამ დროს გამოჩნდა ავტომობილი, რომელშიაც წულუკიძე იჯდა ორი ამხანაგით. ერთმა მათგანმა უთხრა წულუკიძეს თურმე, აგერ გობეჩიაო, რის შემდეგაც წულუკიძე ჩამოხტა, რამდენიმე სიტყვა უთხრა ვლად. გობეჩიას და 3-ჯერ ესროლა მას.

გუშინ მოხდა ტრაგიკულად გარდაცვლილის ვლად. გობეჩიას ნეშტის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენებას დაესწრნენ: ეროვნულ საბჭოს მთავრობის, პოლიტიკურ პარტიათა წევრნი, ნაცნობნი და მეგობარნი.

დაკრძალვა მოხდება კვირას 23 ივნისს დიდუბის პანთეონში.

მთავრობამ დაადგინა დაკრძალვის ხარჯები თავის თავზე იდოს, მთელი თავის შემადგენლობით დაესწროს და აგრეთვე სამხედრო მინისტრს სიტყვის წარმოთქმა დაევალოს.

# ქალაქის თვითმართველობაში

(17 ივნისის სხდომა)

თავმჯდომარეობს ა. ხ. ლომთათიძე

წყალზე ტარიფის გადიდების შესახებ წარმოყენებულმა მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. მოხსენებიდან ჩანდა, რომ რაც თბილისში წყალსადენი გამოუყვანიათ, ქალაქის თვითმართველობას არც ერთხელ არ შეუცვლია ტარიფი. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მისი გადიდება.

ხმ. ხანდამოვი. ტარიფის გადიდებას მიზანშეუწონლად სთვლის. ძველად ბურჟუაზიული შემადგენლობა თვითმართველობის გაცილებით შეეფერებოდა თავის დანიშნულებას, ვიდრე დღევანდელი.

ხმ. გეპშტეინი. პირიქით, ამტკიცებს, ტარიფის მომატება აუცილებელი იყოს და ღარიბ მცხოვრებთ არავითარ შეწუხებას არ მიაყენებს. თუ ძოხვდებათ, ისევ სახლის პატრონებს, რაც შეეხება განაპირა უბნის ღარიბ მცხოვრებთ, იქ წყალს მუქთად იღებენო.

კენჭის ყრის შემდეგ მოხსენება მიღებულ იქნა. მორიგი მოხსენება შეეხებოდა მილიციის საკითხს და მიღება-დამტკიცების წეს-რიგს, რამაც დიდი აურ-ზაური და კრების დახურვა გამოიწვია.

ხმ. ხუდადოვმა განაცხადა ქალაქის მილიციონერები თანდათანობით შორდებიან თვითმართველობას და პოლიციის აგენტებად ჰხდებიან, როგორც ძველი მეფის რეჟიმის დროს იყო. იგინი სრულიად უმიზეზოდ, სრულიად უდანაშაულოდ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აპატიმრებენ, ციხეში სვამენ და ჰკეტენ გაზეთებს. მილიციონერები იზიარებენ პლევეს დევიზს: „არავინ გაუშვათ, დაიჭირეთ, დაჰხვრიტეთ, ჩამწყვდიეთ"... ხმოსანი ბრალსა სდებს მენშევიკებს იმაში, რომ მათ უღალატეს იდეალებს, სოციალიზმისკენ მისწრაფება უკვე აღდეს შეჰქმნეს მთავრობა, რომელიც არავითარ თვითნებობას არ ერიდება და დიდად გვაგონებს ნიკოლოზ მეორეს და პლევეს დროს. ხუდადოვი უარყოფით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას და მენშევიკებს უსაყვედურებს რუსოფილობას. სიტყვის დასასრულს იგი მიმართავს მენშევიკებს: თქვენ თავზე წამოსასხმელი ვეშაპელია და მაგრამ უნდა გახსოვდეთ, თუ დღეს ვეშაპელია—და გვერდზე ჩვენ, ხვალ თქვენი დღეც დადგება, მენშევიკებს გამოგრეკავსთ...

ხუდადოვის სიტყვის დროს, როგორც შემდეგი ორატორისა, დიდი ხმაურობა იყო მთელს დარბაზში. თავმჯდომარე ბევრსა სცდილობდა წესიერების აღდგენას, მაგრამ ვერას გახდა. (ხმოსანთა ხუდადოვს და თუმანოვს უპასუხა ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ, რომელიც მათს გამოსვლას უსინდისო უწოდა (ხმაურობა, ყვირილი), შემდეგ არსენიძემ, ერაძემ, გეპშტეინმა, ნ. ვ. რამიშვილმა და გვარჯალაძემ უთითებდნენ იმაზე, თუ როგორი უნდა მთავრობა, ან რა ზომებს უნდა იღებდეს იგი ასეთ დანაშაულობათა შესახებ, როგორსაც ჩადიან მემარცხენე ჯგუფები ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.

დარბაზს კვლავ ხმაურობა იცავს. წესიერება ვერ აღადგინა თავმჯდომარემ. ამ დროს დარბაზში შემოვიდა მილიციონერი, რომელიც ხუდადოვისკენ გაემართა. ხმოსნებმა მუშტებით დაუწყეს ყვირილი და მუქარა. თავმჯდომარემ სთხოვა მილიციონერს გასვლა. ყვირილში არავინ იცის, ვინ რას ამბობს. ბოლოს ქალაქის თავი ეჭვის თავმჯდომარის ადგილს, მაგრამ რადგანაც ხმაურობა არა სწყდება, სხდომა დახურეს.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

## თიბათვის 15 სხდომა

(გაგრძელება *)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

ნოე რამიშვილი. (ადის ტრიბუნაზე) მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მისი სამოქმედო გეგმა შესაფერ კრიტიკას გამოიწვევდა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ კრიტიკა იქნებოდა იმ ფარგლებში, რომელიც შეეფერება იმ დიდ კრებულს, რომელსაც ეწოდება საქართველოს პარლამენტი. მაგრამ თვით ეროვნულ საბჭოს შეუძლიან გამოიტანოს შესაფერი დასკვნა იმ გამოსვლების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქ.

მე უწინარეს ყოვლისა ერთს გარემოებას უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

აქ გამოვიდა გლეხთა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი დავით ჩიქოვანი და შეეხო რა აგრარულ რეფორმას მან ამ რეფორმის საფუძვლად სცნო მიწის კერძო საკუთრება. ამასთან მან განაცხადა, რომ ამას მნიშვნელობა აქვს უცხო სახელმწიფოსათვისო. მთავრობის მონდობილობით მე უნდა განვაცხადო ცხოველი პროტესტი აქ გამოთქმულ აზრის შესახებ, რომ ვითომც მთავრობის შინაური პოლიტიკა უნდა აგებულიყოს უცხოელთა სულის კვეთებაზე (ტაში). პროტესტს ვაცხადებ ვინაიდან ეს გამოიწვევდა უცხოელთა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას და შებღალავდა ჩვენს სუვერენიტეტს.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ ის ორატორები რომლებიც ჩვენ ამ ბოლო დროს მოვისმინეთ უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ მთავრობის პარტიის წარსულ შეცდომებს და არ ეხებოდნენ პირდაპირ დეკლარაციას.

ბატონ აფხაზის სიტყვამ აქ მრავალი გაუგებრობა დასტოვა. უპირველეს ყოვლისა ბატონმა აფხაზმა განაცხადა, რომ მთავრობის არც ერთი ბრძანება არ სრულდება ისე, როგორც მთავრობას ჰსურსო. პროვინცია მოწყვეტილია ცენტრს, არ არის გაბმული ძაფი ცენტრსა და პროვინციას შორისო. ვინც დაუკვირდება იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა ეხლა, როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ რევოლუციის ხანაში, რაც ნიშნავს ძველის დანგრევას და ბოლოს ახლის აგებას, და დამეთანხმება რომ ეს არც ისე ადვილია— დარწმუნდება, რომ ასეთი შეხედულება მეტად ცალმხრივია. ყოველ კუთხეებში, სადაც კი აღდგენილია წესიერება არც ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი არა აქვს. ყოვლად შეუძლებელია ისეთი წესწყობილება, რომ მთავრობის ყოველივე ცუხლი სრულდებოდეს ისე, როგორც მთავრობას ჰსურს. რასაკვირველია მოიპოვებიან ისეთი მოხელენი ვინც წინ უდგებიან მთავრობის დადგენილებას, მაგრამ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ ყოველ ასეთ მოხელის წინააღმდეგ მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

აქ ბევრს ამბობდნენ ჩვენი ფინანსების მოუწესრიგებლობის შესახებ. ეს აშკარაა. ჩვენი სახელმწიფო ჯერ გამოეყო რუსეთის რესპუბლიკას, შემდეგ იძულებული იყო გამოყოფოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას, ყველას მოეხსენება რა ძნელი იყო ასეთ პირობებში ფინანსიურ სისტემის მოწესრიგება. ჩვენ იძულებულნი ვართ რამდენიმე დაწესებულებას ლიკვიდაცია უყოთ. ასეთ პირობებში კი ყოვლად შეუძლებელია წესიერ ბიუჯეტის შედგენა. ეს ვერ შესძლო ამიერ-კავკასიის მთავრობამ.

და რა თქმა უნდა ამ საქმეს 17 დღის განმავლობაში ვერ მოვევლებოდა. მაგრამ მე ვალდებულებას ჩემ თავს განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ფინანსთა უწყება უკვე შეუდგა ამ მოქმედებას და ის სალიკვიდაციო ხარჯები, რომლებიც ჩვენ უნდა გავსწიოთ სულ მოკლე ხანში წარმოგიდგენთ აქ.

მე მგონია, რომ უმთავრესი საკითხი, რომლის გარშემოც დაიწყეს გამოსვლა სხვა პარტიათა წარმომადგენლებმა—არის აგრარული საკითხი. აქ ძალიან ბევრი ილაპარაკა სახელმწიფოს გაძლიერებაზე ბატონმა აფხაზმა. მათ უთუოდ მოეხსენებათ, რომ უცხო სახელმწიფოები, სწორედ ის წრეები, რომლის წარმომადგენელიც ბრძანდება თვით ბატონი აფხაზი და რომელთადმი იგი იდეურ ნათესაობას ჰგრძნობს, ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ამ საკითხში. მათ სწამთ, რომ ძლიერ სახელმწიფოს შექმნა ნიშნავს ძლიერ გლეხების შექმნას. მაშ თუ ეს მართალია, და რომ ეს მართალია, ამაში ეჭვი არ შეუძლია, ის პარტიები, რომელთაც წარმომადგენლები მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ, მოვალენი არიან ეს შეიგნონ და მათ მთავრობას მხარი უნდა დაუჭირონ, ვინაიდან სწორედ ამ მიზანს ემსახურება მთავრობა.

ბატონი აფხაზი ამბობს, მთავრობა თითქოს თვითონაც დარწმუნებული არ არის, რომ აგრარულ რეფორმას განახორციელებსო. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მოხდა რაღაც გაუგებრობა. ვინაიდან აფხაზი ამ თავის მოსაზრებას ამყარებს სიტყვაზე ეცდება. დეკლარაციის დედანში არ სწერია მთავრობა ეცდება, არამედ მთავრობა შეუდგება აგრარულ რეფორმის განხორციელებას, თუ მართლაც ზოგიერთი პარტია და ჯგუფები შეეცდებიან ხელი შეუშალონ მთავრობას, მთავრობა მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიმართავს და მთელის თავის ძალღონით შეეცდება დაუყოვნებლივ რეფორმის განხორციელებას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ და სახელმწიფოს გასაძლიერებლად. (ტაში).

აქ წარმოთქმული იყო, თითქოს სასურსათო საქმე ძლიერ არეული იყოს, თითქოს სასურსათო საქმეს მთავრობა არ აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას.

უკვე გარეშეა მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ სასურსათო საქმე მოაგვაროს. ის კი, ვითომც ამ მხრივ მეტის-მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვიყვნეთ, ვითომც დიდძალი ადგილმამულები დარჩენილიყოს დაუმუშავებელი,—არ შეეფერება სინამდვილეს. აქ გახლავთ მიწადმოქმედების მინისტრი და შეუძლიან დაგიმოწმოს, რომ იმდენი დამუშავებული ადგილი, რამდენიც წელს დამუშავდა, საქართველოს დიდი ხანია არ ჰქონია. ეს შედეგია აგრარულ რეფორმის გატარებისა (ტაში).

*) იხილე „საქართველო" № 121.

# დაშნაკცუტიუნის რეზოლუცია სომეხ-ქართვ. ტერიტორიის გამიჯვნის შესახებ

დაშნაკელების ყრილობამ 15 ივნისს იქონია მსჯელობა საქართველოს მთავრობის განცხადების შესახებ, რომლითაც ბორჩალოს და ყაზახის მაზრის სომხური ნაწილები შედიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: საქართველოს მთავრობის განცხადება ეწინააღმდეგება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რაიც წამოყენებულია სარევოლუციო დემოკრატიის მიერ; ეს იმპერიალისტური მისწრაფებანი მენშევიკ-თავადთა ბლოკისა ეწინააღმდეგება ქართველ სომეხთა მშრომელთა მასის ინტერესებს ამწვავებს მათ ურთიერთობას და სპობს მათ შორის შედლს. ვიდებთ რა მხედველობაში, რომ ამ ანტიდემოკრატიულ და კონტრ-რევოლუციონურ შოვინისტურ ნაბიჯის გადადგმაში ყოფილი ინტერნაციონალისტები, იმის

---

დიის მიზანია—რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვა". ჯარის შედგენაც მთავრობას სურს „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად!" ჯარში ერთი: თუ ორივე ორგანიზაციის მიზანი ერთი და იგივეა, კეთილგონიერება მოითხოვს მათს შეერთებას, თუ სხვადასხვა—ამ შემთხვევაში პირნათლად უნდა აღიარებული იყოს ეს, და უთავბოლო სიტყვების რახა-რუხი რა ზარშია? მაგრამ, საკმარისია გულდასმით გადიკითხოთ ხსენებული კანონპროექტი, უმეტესად ის მუხლები, სადაც წითელ გვარდიის მთავარ შტაბის კომპეტენციაზეა ლაპარაკი, რომ დარწმუნდეთ, რომ მმართველ წრეებს უკიდურესი დუალიზმი შეუქმნათ ნორჩ სახელმწიფოს მილიტარულ უწყებაში, რისი დამღუპველი შედეგების გათვალისწინება ადვილია! უკანასკნელი მუხლი კანონ-პროექტისა კატეგორიულად გვამცნობს: „სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გამოიწვევენ (?) ისე, თუ არა მთავარი შტაბის საშუალებით..." მკითხველისათვის მიგვინდია გამოარკვიოს, რა სიკეთე მოელის საქართველოს სამხედრო სიძლიერეს, როდესაც რეგულიარული ჯარის მთავარშტაბის და სახალხო გვარდიის—შტაბის შორის უთანხმოება დაიბადება, მაგალითად, სახელმწიფოს საზღვრის დაცვის გამო!!!

მეტყვიან, ეს დეკლარაციას არ შეეხება, მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო დაღადით: უფალო, უფალო-სასუფეველი ცათა არავის დაუმკვიდრებიაო! მთავრობის დაპირებანი ჩვენ ცარიელ სიტყვებად მიგვაჩნია, რამდენადაც მოქმედებით არ ამტკიცებენ დაპირებებს. მაგრამ თვით პრემიერ-მინისტრმა იუნასწარმეტყველა შაბათის სხდომაზე წითელი ანუ სახალხო გვარდიის დაარსება! წითელი გვარდიის დაწესების აღიარების ნიშნად სოციალ-დემოკრატები მას „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის" სახალხო გვარდიით აცხადებენ. წითელი გვარდიის უცილობელი დამსახურება სამშობლოს წინაშე ყველასათვის აშკარაა, მაგრამ, რა ლოღიკა აქვს სოციალ-დემოკრატიის დასკვნას? თვითმპყრობელმა რუსეთმაც ასე იცოდა: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ივანოვს სამშობლოს თავგანწირულ სასახურისათვის ებოძება ტაინი სოვეტნიკობაო. ჩვენის აზრით, წითელი გვარდია დიდი მადლობის ღირსია, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისი დაიცვა გამხეცებულ რუს ისგარნიზონისაგან, მაგრამ მან სამსახური დაამთავრა და უნდა დაიშალოს, ან გარდაიქმნას ნამდვილ ჯარად საერთო საფუძველზე!

დროშის საკითხმა ხომ პირდაპირ სამარცხვინო ხასიათი მიიღო! სოციალ-დემოკრატების წყალობით საქართველოს სახელმწიფო ემბლემატიური ნიშანი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან ჩამოგლეჯილია და მის ნაცვლად ყველგან აღმართულია რევოლუციური და სოციალისტური წითელი დროშა. როდესაც ირაკლი წერეთლის დემაგოგიურ შენიშვნას მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული აუდიტორიის მწყობრი გუგუნი: „გაუმარჯოს წითელს დროშას", ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ამ ხალხს შეუძლიან კიდევ არა ერთი და ორი რევოლუცია მოახდინოს, მაგრამ მათ არ ძალუძთ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მოღვაწეობა. სოციალდემოკრატიულ მასას ვერ შეუგნია, რომ სოციალისტური დროშის დანიშნულება სულ სხვაა და მისი გამოფენა სახელმწიფოს ნიშნად ზედმეტად ამტკიცებს ქართველ სოციალდემოკრატიის სახელმწიფოებრივ კრეტინიზმს. პარლამენტის „დიდი დღის" ბენეფიციანტებმა—სოციალდემოკრატებმა, როგორიც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ორიგინალობა გამოიჩინეს: წინადადება მისცეს საბჭოს ორი დროშის შეუღლებისა, ან, მათი ერთი ორატორის სიტყვით; „წითელი დროშა ზემოთ ეკიდოს, ხოლო ქვემოდ—ეროვნული"... არ ვიცი, სხვა როგორა ჰგრძნობდა თავს, ხოლო ჩემთვის კი დიდათ სამარცხვინო იყო დროშებზე ასეთი სჯა-ბაასის მოსმენა. სახელმწიფოს ვერ ააშენებს პარტია, რომელსაც ვერ შეუთვისებია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დროშის მნიშვნელობა!

ყველაზე მეტი შეურიგებლობა ჩვენსა და სოციალდემოკრატიულ მთავრობის შორის დაბადა მეიდიდურმა სადგილმამულო დეკრეტმა. მის განხილვას აქ არ შევუდგები, რადგანაც ჩვენმა გაზეთმა ამ დეკრეტის უნიადაგობა და მავნებლობა აღნიშნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ნეტარხსენებულ სეიმის სათაყვანებელ საგნად ითვლებოდა. დეკრეტის უარისყოფა ჩვენს სოციალდემოკრატებს და, მაშასადამე, მთავრობასაც მიუტევებელ ცოდვად ეჩვენებათ, რის გამო „პომეშჩიკების" იდეოლოგობაც დაგვწამეს. მაგრამ დემაგოგობის ნაცვლად, გაბატონებულ პარტიის ორატორები ჩვენს პროგრამას რომ გასცნობოდნენ, იქ ამოიკითხავდნენ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიწების იძულებით ჩამორთმევას უმიწაწყლო გლეხ-მუშებისათვის შეღავათიან ფასებში გაძლევდიან კრედიტით სრულს საკუთრებად გადასაცემად აუცილებლად საჭიროდ სთვლის. სახელმწიფოს მიერ კანონიერ გზით ჩამორთმევას ჩვენ ვეხრობით, მაგრამ მტაცებლობის და უჩილობის დაკანონება ჩვენ ანარქიულ აქტად მიგვაჩნია!

ეკონომიური პროგრამა მთავრობის დეკლარაციისა ერთობ ოპტიმისტურია და მასთანავე მსუბუქად შედგენილი. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დეკლარაციებს და ისიც მოკლედ და ზოგადად შედგენილებს არა აქვს საგულდაგულო მნიშვნელობა. მართლაც, იმითი ხომ ვერ დაკმაყოფილდება ქართველი ხალხი, რომ მთავრობას განუზრახავს რაღაც „მოაწესრიგოს", „უზრუნველყოს", „გამოიყენოს", „მოაპოვოს". ყველა ამ საკეთილოს სავალდებულოდ ისეთნაირად მოგვარდეს სოციალ-პოლიტიკური წყობილება საქართველოს სახელმწიფოსი, რომ ვაჭრობა-მრეწველობამ უშიშრად და უბრკოლოდ გაიკაფოს გზა, ათასი კომიტეტებისა და საბჭოების მეუხრუჯეს მოზორებული. ჩვენი სამშობლო ერთობ დაქვეითებულია ეკონომიურად. სახელმწიფოს გადასახადებისა და საზოგადოთ ეკონომიურ საშუალებათა გამონახვაში კანონმდებლობა და მთავრობა უნდა ცდილობდეს უზრუნველჰყოს ნორჩი ბურჟუაზიის თავისუფალი განვითარება, საქართველოში კი აქნომამდე ამ მხარეს არამც თუ არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას, პირიქით სოციალდემოკრატების სოციალი „კანონმდებლობა" მიმართული იყო ბურჟუაზიულ წყობილების დამხობისაკენ.

ამგვარად, სოციალდემოკრატიული მთავრობის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მეთოდები, როგორც დამშლელი თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კულტურისა, ჩვენთვის მიუღებელია. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ფრიდრიხ ენგელსს, სოციალდემოკრატებს რომ ურჩევდა განზედ ჰდგომოდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფო მექანიზმს. ჩვენი სოციალდემოკრატები-კი ეყრდნობიან ქართველი ხალხის „ფსიხოლოგიურ" განწყობილებას და სამინისტრო პორთფელებით „დატვირთულნი" სოციალისტურ ექსპერიმენტების ობიექტად ჰხდიან ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს!

რ. ინგილო.

ბადლად, რომ დაეყრდნონ ამ ორი ერის დემოკრატიის თანხმობას, ეყრდნობიან ხიშტთა ძალას, დაშნაკელების ყრილობა, პროტესტს აცხადებს ამ ნაირ ქცევებათა დარღვევისათვის. სომხის დემოკრატია, მიუხედავად მასზედ ძალდატანებისა, არასოდეს არ შეურიგდება იმას, რომ სომხური რაიონები შეტანილ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და მოითხოვს ერთვნულ საბჭოსაგან მთელის ძალღონით სასტიკად წინააღუდგეს ამ მენშევიკ-თავადთა ახალ ავანტიურას.

## უცხოეთი

ფინლიანდიაში სასწრაფოდ აგებენ ვიწრო ლიანდაგიან გზებს, სადაც თავს უყრიან საკმაოდ ძლიერ რაზმებს ფინელ თეთრ გვარდიელებისას. მათ აქვთ დიდძალი არტილერია და ჰაეროპლანები. მურმანში საბჭოები ენერგიულად ემზადებიან იარაღით მათდა საპასუხოთ.

ხარკოვში გერმანელთა ჯარების უფროსმა ბრძანება გასცა, ყოველგვარი გაფიცვა ამბოხებად ჩაითვლება და როგორც ასეთს, სასტიკად მოექცევიან.

პენზა. როგორც ამბობენ, ჩეხ-სლოვაკებს დაუპყრიათ. მათვე აუღიათ რამდენიმე სადგური უფასა და ზლატოუსტის შუა. დიდი სასტიკი ბრძოლა სწარმოებს უფასთან.

პეტროგრადში განზრახულია საკმაოდ გადასახადები გააწერონ უცხოელ შეძლებულ ხალხზე.

## კორესპონდენცია

### დარიალში ბრძოლა ბოლშევიკებთან

29 (16) მაისს გავრცელდა ხმა ხევში რომ დარიალის ხეობაში ბოლშევიკები შემოიჭრნენ და დარიალის ხიდი დაიჭირესო. ზოგი მოხევეთაგანი ბოლშევიკების შემოსვლის წინააღმდეგნი იყვნენ და სამშობლოს ერთგულად ემსახურენ თავი მოუყარეს ხალხს და გაემართნენ ომის ასპარეზზედ იარაღით ხელში. აღმოჩნდა რომ დარიალის ციხე სიმაგრის დამცველი ჯარისკაცნი დაუპატიჟებელ სტუმრების საწინააღმდეგოთ ცოტანი იყვნენ.

ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი შესდგებოდა 70 კაცისაგან, რომელშიაც შედიოდნენ 16—60 წლიანები. ბრძოლა დაიწყო 30 (17) მაისს, დილიდან საღამომდის უწყვეტი სროლა იყო ორივე მხრიდან თოფებისა და ტყვიისმფრქვევლებისა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მოპირდაპირეს მოუკლით მხოლოდ ერთი კაცი. მიზეზი ამ უშედეგო სროლისა იყო ის, რომ მტერს ჩვენდა მოულოდნელად ხელში ჩაუგდო დარიალის ხიდი და ამ ხიდის დაცილებით ფრიალო კლდის ქვეშ გამაგრებულიყო ისეთ სიმაგრეში, რომ ნახევარ ვერსის მანძილზედ მისვლა და სროლა შეუძლებელი ხდებოდა. დამე სროლა შესწყდა და მეორე დღეს 31 (18) მაისს მოხდა საბჭოთა თათბირი და სხვა და სხვა აზრის გამოთქმის შემდეგ მიღებულ იქმნა სვიმონ ზადურის წინადადება: ჯარის ორ ნაწილად გაყოფა და მტრის ორივე მხრიდან მოვლა ე. ი. ზურგიდან და პირდაპირით. პირდაპირ წასვლა „ფალხატის“ მთით იკისრა თვით სვიმონ ზადურმა ათი ამხანაგით და მეორე მხრიდან მოვლა „ხურანჯას“ ხეობით ნიკოლა ჩოფიკაშვილმა 25 ამხანაგით. ეს ორი ჯგუფი ნაშუადღევს გაემგზავრნენ მთებში, იმ დამეს იქვე მთებში ათიეს, რადგანაც შორს და მაღალ მთებზე უნდოდა მოვლა. 1 თიბათვეს (19 მაისი) დილის 8 საათზედ ს. ზადური თავის ამხანაგებით ლევან ქუშაშვილით, სოლომონ ველიშვილით, ილია ფიცხელაურით, იობა ქავთარაშვილით და სხვ. რომლებიც განგებ არჩეულ იყვნენ როგორც კარგად თოფის მსროლელები (მაგალითად ასი ფეხის ნაბიჯზედ თოფით ამტვრევენ ქათმის კვერცხს), ფრიალო კლდით დაუპირდაპირდა მტერს. მტერი სროლის წინ ასეთ მდგომარეობაში იყო: ტყვიისმფრქვეველი და ჯარის უმეტესობა იყო ხიდის მარჯვენა მხარეზე, მეტი ნაწილი ჯარისა იყო ხიდის მარცხენა მხარეზე, ორივე მხარეზე ხიდს გაღმა და გამოღმა მტრის ჯარი იქნებოდა 200 კაცისაგან შემდგარი. როგორც ეტყობოდა მოპირდაპირე დაიმედებული იყო თავის უზრუნველყოფაში: ისინი ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და კლდეებს ქვეშ სადილობით ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ. ამ დროს ჩვენები წამოწოლილები იყვნენ ფრიალო კლდის თავზედ თოფებ გადაშვერილნი და ზევიდან დაჰყურებდნენ მტერს 200—300 ფეხის ნაბიჯის სიშორიდან. უეცრად იგრიალა ერთად ჩვენების თოფებმა და მოპირდაპირე აირია, დაიბნა და წინ და უკან დაიწყო რბენა, მაგრამ მოხევეების ნასროლი ტყვია მტერს ყველგან სწვდებოდა. მტერი იმდენად დაიბნა, რომ ერთი მათგანი ხიდიდან პირდაპირ თერგში გადავარდა. ამ დროს გაქცეული მტერი წავიდა იმ მხარეს, სადაც ჩვენი მეორე ჯგუფი იყო ჩასაფრებული ნიკოლა ჩოფიკაშვილის მეთაურობით. აქ მტერს მეორე მეხი დაატყდა თავზედ, სროლა გახშირდა, ბოლშევიკები გარბიან და რჩებიან გზაზედ დაჭრილნი და დახოცილნი, მრავალი პატრონა თოფები და ტყვიის მფრქვეველი, რომელსაც მიაგორებდა ერთი ბოლშევიკთაგანი ლევან ქუშაშვილმა და სოლომონ ველიშვილმა თავისი მკვირცხლი სროლით დაატოვებინეს ხიდს გაღმა და მერე ტყვიის ცეცხლიდან გამოტანილ იქნა ლევან ქირიკაშვილისაგან. მტერმა დასტოვა თავის წინა პოზიცია და ცოცხლათ დარჩენილი მტრის ნაწილი გასცილდა საქართველოს საზღვარს ½ ვერსით, სადაც მათი მაშველი ჯარი იყო დაბანაკებული. ჩვენც იმ დროს ჩქარა მოგვივიდა მაშველი ჯარი დარიალის ციხე-სიმაგრიდან თავის ოფიცრებით. გაქცეული მტერი შეუერთდა თავის მაშველ ჯარს და გაუგრძელეს თოფის, ტყვიისმფრქვევლის და ზარბაზნის სროლა. ორივე მხრიდან ისეთი საშინელი დაუყრუებელი სროლა გაჩნდა, რომ ერთმანეთის ლაპარაკი არ გვესმოდა და ერთი ჩვენგანი კიდევაც დაყრუვდა. დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს ჩვენმა ტყვიისმფრქვევლების მსროლელებმა, ნამდვილად მოხევემ იოსებ ზადურმა, რომლებმაც მტერს ნება არ მისცეს წინ წამოწევისა. საღამოთი სროლა შესწყდა. მტერი გამაგრდა საქართველოს საზღვრიდან ½ ვერსის იქით. ხიდი ჩვენ დავიპყარით და გავამაგრეთ. სროლის დასრულების შემდეგ გამოირკვა, რომ ტყვეთ ჩავიგდეთ 28 კაცი, ერთი მათგანი დაჭრილი, მოუკლავთ 30 კაცი, დაჭრილი 70 კაცი, ხელში ჩავიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, 30 თოფი და რამოდენიმე ათასი პატრონი, ჩვენი მხრით მოკვდა ერთი და დაიჭრა ოთხი, აქედან ერთი იყო დაჭრილი მტრისგან და სამი დაჭრილი და ერთი მოკლული ჩვენივე ტყვიით, რადგანაც მთაში მყოფნი ვერ არჩევდენ ჩვენს კაცებს მტრისგან.

მეორე დღეს 2 ივნისს მოვიდა ქ. კავკავიდან ბოლშევიკების დელეგაცია ტომაშევსკის მეთაურობით და ითხოვეს ზავის შეკვრა, დროებით მაინც. ზავი შეიკრა დროებით, ჯერჯერობით სროლა აღარ სწარმოებს. იმედია შერიგება მუდმივი იქნება, რადგანაც დარიალის გარღვევას ბოლშევიკები ვერ შესძლებენ, რაკი დარიალი მიუვალი სიმაგრეა და დარიალს იცავენ მთის არწივნი მოხევეები. ბოლშევიკების „ბოსიაკები“ როგორც ერთმა ტყვეთაგანმა განუცხადა თვით ჩვენი რაზმის უფროსს პოლკოვნიკ აბესაძეს „მე ბოსიაკი ვარო და დანარჩენები ჩემზე უარესებიო“, მთაში სიარულს ვერ შესძლებენ და არც იციან. ზემოდ ნაჩვენებს ბრძოლაში მადლობის ღირსნი არიან ორივე ჯგუფი მოხევეებისა, რომლებმაც მტერს ორი მხრიდან მოუარეს. განსაკუთრებით კი ს. ზადურის ჯგუფიდან, ლევან ქუშაშვილი და ნიკოლა ჩოფიკაშვილის ჯგუფიდან გიორგი ცეროშვილი და ალექსი წიკლაური, როგორც მთებში გზების მცოდნენი და მთაში წინამძღოლნი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მონაწილეობას იღებდნენ ს. სტეფანწმინდის (ყაზბეგის) და სნოს მცხოვრებნი და რამდენიმე კაცი სიონიდან დავითაშვილები და კარკუჩიდან მარსაგიშვილები. დანარჩენი სოფლები: გერგეთი, ფანშეტი, არშა, გაიბოტენი, თოთი, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი, ხურთისი, ყანობი, გარბონი, აჩხოტი, ახალციხე, ქოსელი, კარკუჩა, სიონი და ძიგუდა გეებრიყვნენათ პროვოკატორათ და იმ „ბოსიაკ“ ბოლშევიკების მომხრენი“ გადაქცნენ, რომლებსაც საქართველოს კარის დარიალის ხელში ჩაგდება უნდოდათ. ამათ და სასახელოდ ის ითქმის, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ ბოლშევიკებთან ჩვენს წინააღმდეგ. სირცხვილი და ზიზღი იმ მოხევეს რომელიც „ბოსიაკ“ ბოლშევიკებს ძმობას ეუბნება და თავის ნამდვილ ძმას მოხევეს კი ჰღალატობს და ხელს უწყობს მტერს ჩვენი სამშობლოს დაპყრობაში.

ხ. ვალიაშვილი

### წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო რედაქტორო!

ჩვენამდის მხოლოდ დღეს მოაღწია ჯავახელების უბედურობამ. ძველი გავაზის პატარა ჯგუფმა თავის შორის შეაგროვა მათ სასარგებლოდ ცოტაოდენი ფული: „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“. შემომწირველთა სია: მღვდ. დ. გიუნაშვილმა ერთი თუმანი, ხუთ ხუთი მანეთი ვ. ყიფიანმა, ალ. ოთარაშვილმა, ნიკო მოსულიშვილმა, ნიკა იაროვმა, ვასილ ლომიძემ, გიო ხუციშვილმა, არჩილ ნიკოლაიშვილმა, ნიკო ხუციშვილმა, ნიკო ლომიძემ, ლ. მალიანცმა, ქ. ნონიევმა და წყალობა არუთინოვმა. სამ-სამი მან.: სტეპკო ოხანეზოვმა, ალ. კახიძემ; ორი მანეთი ს. ვარდიშვილმა და ერთი მან. ალ. ხუციშვილმა. სულ 79 მან. გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

განო ყიფიანი


## სტუდენტს

ქართული ენის საუკეთესო მცოდნეს ჰსურს მისცეს გაკვეთილები, აგრეთვე ეძებს სხვა რაიმე შესაფერ ადგილს. ნახვა 8—10 და 3-ის ნახევრიდან 5 საათამდის. ტელეფონი 4,46. ბინა, გუნიბის ქუჩა 42, სახლი საყვარელიძისა. 3—1667—1

## ქართული კლუბი

ქართული ოპერეტი (ბენეფ. ვერა მარგველაშვილისა)

შაბათს, 22 ივნისს, 1918 წ.

ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტი

## არშინ-მალ-ალან

ოპერ. 4 მოქ. გაჯიბეკოვისა თარ. ვანო გიგოშვილისა

ანკარა. მ. ჯანიევი, სულთან-ბეგი ი. რევაზოვი, სულეიმანი ქ. ჩაგუნავა, ვალი ნ. მარგველოვი. ჯულჩორა მ. გიგოშვილისა, ასია მოხვენფისე—ვერა მარგველაშვილი. ხალა ფეიქაროვი. თელი არჯევანიძე.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში. დაირის დამკვრელი დირიჟ. მადალიანი. გამგე ვანო გიგოშვილი

## თბილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 თიბათვეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია არაჩვეულებრივი საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც კრებას მოხსენდება გეგმა საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. კრება დანიშნულია სკოლის ბინაზედ სოლოლაკის ქუჩა. (1—965—4)

პარასკევს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საქართ. ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის 2-ე რაიონის

## წევრთა საზოგადო კრება

ი. მაჰვარიანი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში და ეხლა“. 3—1

ცენტრალი კომიტეტი ქართულ

## სამხედრო კავშირისა

აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით:

I. თავისუფალი ფორმა ორ ან სამ ნაწილებისაგან.
II. ხალხური.
III. მკაფიო და მოკლე.
IV. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელა (სასიმღერო).

საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის სუფთა შემოსავლიდან.

ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალი სტილით). მისამართი: ქ. თბილისი. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს. (5—964—3)

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტერგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგნაირად:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოყოლებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე. თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო რაიონის კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. ღ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საშვილოსნო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმბოვაჩის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

## გ. ი. ხანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (ფსიხოტერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. გ. მჭედლიშვილის და ღ. გ. ნაზარეთიანცის

სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიგები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

გაიხსნა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხონისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანტიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

## გ. ნინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და საქ. მედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხადის სნეულებანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბოა-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—49

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შაქარიით (ცუგა) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—41


სტამბა „ცნობრებისა“ კოლექტიური გამგეობის შენობაში № 4.